SOCIÉTÉ FRANÇAISE DE PHARMACIE ONCOLOGIQUE
ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

# MIDOSTAURINE - RYDAPT®

## რა არის RYDAPT

| მოლეკულის აღწერა | აღწერა |
|---|---|
| RYDAPT® | 25 მგ-იანი კაფსულა: ფორთოხლის ფერი  |

## როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.
თქვენს შემთხვევაში, არის ....................... მგ/დღეში, 25 მგ-იანი ....................... კაფსულა, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში 2-ჯერ..........................................................................................................(მიუთითეთ, უწყვეტლივ იღებთ თუ არა).
უნდა გადაყლაპოთ მთლიანი, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, კაფსულების გახსნისა და განზავების გარეშე.
მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას.
დავიწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

## დოზირება - მიღების წესი

| | |
|---|---|
| 2-ჯერ დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას |  |
| უწყვეტად (მონოთერაპია) ან წყვეტილად პროტოკოლის მიხედვით (ასოცირებული თერაპია) | |

## როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში
მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო მოითხოვს. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განაახლებინეთ რეცეპტი წინასწარ.
გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

## სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა
თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს, სისხლში შაქრის, კალიუმის დონეს და ღვიძლის ფუნქციას) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელექტროკარდიოგრამა).
კონტრაცეფცია
ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).
მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება
RYDAPT®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ
მაგალითი: მოერიდეთ კრაზანასა და გრეიფრუტის ერთად მიღებას RYDAPT®-თან.

## რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?



SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

**ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.**

| | |
|---|---|
| ყველაზე ხშირი | **ბიოლოგიური ანალიზის ანომალია**: თეთრი სისხლის უჯრედების შემცირება (ლეიკოპენია – ნეიტროპენია), ჰემოგლობინის შემცირება (ანემია), თრომბოციტების შემცირება (თრომბოპენია), ჰიპერგლიკემია<br>**მომნელებელი სისტემის დარღვევები:** გულისრევის შეგრძნება, ღებინება, დიარეა, ანთება პირის ღრუში (აფთები)<br>**კანის პრობლემები**: გამონაყარი, სიმშრალე, მზის მიმართ რეაქცია.<br>**გულის ფუნქციის დარღვევები**, მათ შორის ჰიპოტენზია ან ჰიპერტენზია, ფეხებისა და/ან ხელების შეშუპება (შეშუპება)<br>**ფილტვების არეში დარღვევები**<br>**სხვა:** ცხვირიდან სისხლდენა, თავის ტკივილები, სახსრების ტკივილი |
| ზოგ პაციენტს ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება | დიაბეტის მატარებელი პაციენტები (ჰიპერგლიკემია) |
| | |
| გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები | **მომნელებელი სისტემის დარღვევები**<br>თუ დიდი რაოდენობით დაკარგეთ წონა და/ან სწრაფი და ძალიან ხშირი დიარეა გაქვთ და 4-ზე მეტზე გადიხართ კუჭში ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში<br>შეუძლებლობა დალიოთ 24 საათის განმავლობაში და/ან მიიღოთ საკვები 48 საათის განმავლობაში<br>**ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები**<br>ტემპერატურა> 38,5 °C<br>ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვისას, დიარეა სიცხესთან ერთად<br>**დარღვევები ფილტვის არეში**<br>დიდხნიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება<br>**ტკივილები, რომლებიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში**<br>თავის ტკივილები<br>სახსრების ტკივილები<br>**გულის დარღვევების მაჩვენებელი სიმპტომები**<br>სუნთქვის უკმარისობა, პალპიტაცია, ტკივილები ან წნეხი გულმკერდის არეში |
| | |
| წონა | **გააკონტროლეთ** რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების ან ედემას დროს. |
| ინფექცია | **მოერიდეთ** რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). **რეკომენდირებულია** პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო **აცრა**: ის თქვენ დაგიცავთ |
| კანის მოვლა | *ჰიგიენისთვის* **უპირატესობა მიანიჭეთ** რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. **მოერიდეთ** ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას.<br>*მზისგან დასაცავად* **გამოიყენეთ** დიდი ზომის სათვალეები და **მოერიდეთ** მზეზე გასვლას. |
| წნევის კონტროლი | **არტერიული წნევის** რეგულარული გაზომვა რეკომენდირებულია. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენთვითონ გაიზომოთ ავტო გამზომიტ. |
| **როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?** | |
| დიარეა | **უპირატესობა მიანიჭეთ** დაბალი რაოდენობის ბოჭკოიან საკვებს. სასურველია, **მიირთვათ** სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. **არ მიირთვათ** უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი.<br>**დალიეთ** წყალი დიდი რაოდენობით. |
| გულისრევის შეგრძნება | **უპირატესობა მიანიჭეთ** ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი.<br>**შეზღუდეთ** ცხიმიანი, შემწვარი და ცხარე საკვები. |



SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის